უწყებათაშორისი შეხვედრა მთავრობის მიერ ევროკავშირის ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით

შეხვედრის თარიღი: 17 დეკემბერი, 2019 წელი

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. პარლამენტის მიერ ავტომფლობელთა მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ კანონის მიღება
2. პარლამენტის მიერ ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის მიღება
3. შრომის ბაზრის სტრატეგიისა და დასაქმების სააგენტოს შესახებ დადგენილების მიღება
4. შრომის ინსპექციის სისტემის ძალაში სრულად შესვლა და შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა
5. ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობის საკითხი
6. ბიზნეს კლასტერების პროგრამის მიღება
7. სოფლის მე მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმისა და მიწების სისტემური რეგისტრაციის კანონმდებლობის მიღება
8. მთავრობის დადგენილების მიღება უკანონო, შეუთანხმებელი და დაურეგულირებელი თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

საკითხი N1 - პარლამენტის მიერ ავტომფლობელთა მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ კანონის მიღება

ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან აღინიშნა, რომ ავტომფლობელთა მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევის (MTPL) შესახებ კანონის მიღება მიმდინარე წელს ვერ მოესწრება. უწყებების განცხადებით, საკითხი მოლაპარაკებადია ევროკავშირთან თუ იქნება შესაბამისი დასაბუთებული არგუმენტაცია. უახლოეს დღეებში აღნიშნული საკითხის ირგვლივ სამსჯელოდ შედგება შეხვედრა საქართველოს პრემიერ მინისტრსა და შესაბამის უწყებებს შორის.

საკითხის შესაძლო გადაწყვეტის გზა

საკითხის ირგვლივ პროგრესის საილუსტრაციოდ მისაღები იქნება, რომ 2020 წლის განმავლობაში მიიღოს პარლამენტმა აღნიშნული რეგულაცია, იმით გათვალისწინებითაც რომ 2021 წლამდე კანონი მაინც ვერ შევა ძალაში.

საკითხი N2 - პარლამენტის მიერ ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის მიღება

აღნიშნული კანონის მიღება 2019 წელს ვერ მოესწრება. შეხვედრაზე უწყებების მხრიდან ხაზი გაესვა კანონის მიღებით გამოწვეულ შესაძლო რისკებს. აღსანიშნავია, რომ საკითხი არის ევროკავშირთან მოლაპარაკებადი დამაჯერებელი არგუმენტაციების მომზადების შემთხვევაში.

ამასთანავე, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ არსებობს ევროკავშირის მიერ წარმოდგენილი წერილი, რომელშიც განმარტებულია ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით შემდეგი - ენერგო ეფექტურობის შესახებ კანონმდებლობის 2020 წლის პირველ კვარტალში მიღების შემთხვევაში, ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება.

საკითხის შესაძლო გადაწყვეტის გზა

უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის პირველ კვარტალში მიიღოს აღნიშნული კანონმდებლობა და ევროკავშირისთვის მომზადდეს ერთიანი, დასაბუთებული არგუმენტაცია კანონის ძალაში შესვლის დაგვიანებასთან დაკავშირებით.

საკითხი N3 - შრომის ბაზრის სტრატეგიისა და დასაქმების კანონის შესახებ დადგენილების მიღება

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 19 დეკემბრის მთავრობის დღის წესრიგში ასახულია, სავარაუდოდ დამტკიცდება დეკემბრის ბოლომდე. შესაბამისად ვალდებულების ამ ნაწილს პრობლემა არ შეექმნება. რაც შეეხება დასაქმების კანონს, პირველადი დრაფტი მომზადებულია, თუმცა უწყებებს არ აქვს ჯერ-ჯერობით შეჯერებული პოზიცია და საჭიროებს შეთანხმებას. უწყებების განმარტებით, ვალდებულების გადავადება ან რაიმე სახით ნაწილობრივ ჩათვლა არ არის მოლაპარაკებადი დონორთან. ჯანდაცვის სამინისტრო მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონის დასამუშავებლად და საბოლოო სახით მისაღებად დაახლოებით კიდევ ორი თვე იქნება საჭირო.

საკითხი N4 - შრომის ინსპექციის სისტემის ძალაში სრულად შესვლა და შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა

შრომის ინსპექციის კანონთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელზეც უწყებებს დასჭირდებათ შეთანხმება. შრომითი ინსპექციის მანდატის შესახებ კომენტარები და შენიშვნები გამოთქვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ. მნიშვნელოვანია, რომ პროგრესის საჩვენებლად პირველ ეტაპზე კანონის მიღება მოხდეს და შემდგომ, მოგვიანებით კონკრეტული პერიოდების განსაზღვრის შემდგომ ძალაში შევიდეს თვითონ კანონის მუხლები.

ასევე ხაზი გაესვა, რომ ამ ეტაპისთვის ყველაზე მწვავედ დგას მთავრობაზე შრომის ინსპექციის სსიპ-ად გამოტანის საკითხი და შემდგომ პარლამენტის მიერ მისი დამტკიცება.

საკითხის შესაძლო გადაწყვეტის გზა

ამ ეტაპისთვის, ეკონომიკის სამინისტრომ და ჯანდაცვის სამინისტრომ ერთობლივად უნდა წარმოადგინონ კანონის პროექტი. ამასთანავე, უახლოეს მომავალში შრომითი ინსპექციის სსიპ-ად ჩამოყალიბების შესახებ მთავრობაზე გამოვიდეს ცვლილების პროექტი, რომელსაც მთავრობა დაამტკიცებს და შემდგომ გადაეგზავნება პარლამენტს.

საკითხი N5 - ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობის საკითხი

მეწარმეთა კოდექსი - საკითხი საკმაოდ კომპლექსურია და საჭიროებს გარკვეულ დროს განსახილველად. ხაზგასასმელია, რომ კოდექსი მოიცავს საკმაოდ ბევრ დირექტივას, კანონპროექტის ავტორები არიან კერძო პირები. იუსტიციის სამინისტროს განმარტებით, ამ ეტაპისთვის პროექტი მომზადებულია, მაგრამ დასამუშავებელია და მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით.

გადახდისუნარიანობა - კანონზე მუშაობა დასრულებულია, მეტიც, დოკუმენტი უკვე ატვირთულია მთავრობაზე. ყველა ძირითად უწყებასთან შეთანხმებულია საკითხი.

აღსანიშნავია, რომ გადახდისუნარიანობის სფეროში ახალი დირექტივები 2019 წლის გაზაფხულზე იყო მიღებული. შესაბამისად, საჭიროება იყო გაკეთებულიყო მისი გავლენის შეფასებები და სწორედ ამ პროცესს დაეთმო დირექტივის მიღებიდან დღემდე პერიოდი. დიდი ალბათობით, კანონი 1 ივნისს შევა ძალაში.

აღსრულების კოდექსი- საკითხის ირგვლივ უწყებების პოზიციები შეჯერებულია, არსებობს მოლოდინი, რომ 2019 წლის ბოლომდე აიტვირთება მთავრობაზე, პროცედურული წესების შესაბამისად იანვარში გამოქვეყნდება მაცნეზე კომენტარებისთვის ორ კვირიანი პერიოდით და შემდგომ გადაეგზავნება პარლამენტს. აღსანიშნავია, რომ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია გავლილია დაინტერესებულ მხარეებთან.

საკითხი N6 - ბიზნეს კლასტერების პროგრამის მიღება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განმარტებით დღეის მდგომარეობით არ არსებობს პროგრამის დრაფტი. თუმცა ვალდებულება 2020 წლის ბოლომდე უნდა შესრულდეს და შესაბამისად არსებობს პოზიტიური მოლოდინი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით.

საკითხი N7 - სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება და მიწების სისტემური რეგისტრაციის კანონმდებლობის მიღება

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ასახულია 19 დეკემბრის მთავრობის დღის წესრიგში. დიდი ალბათობით დეკემბრის

ბოლომდე დოკუმტნი დამტკიცებული იქნება. სისტემური რეგისტრაციის კანონმდებლობა კი უკვე მიღებულია 2019 წელს.

საკითხი N8 - მთავრობის დადგენილების მიღება უკანონო, შეუთანხმებელი და დაურეგულირებელი თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

საკითხის ირგვლივ შემუშავებულია და მზადაა რეგულაციები, კომენტარებისთვის უკვე გაგზავნილია DG-ში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ელოდება შესაბამის პასუხს.

სახელი, გვარი	სახელმწიფო უწყება	ხელმოწერა
ბექა ლილუაშვილი	პრემიერ მინისტრის მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში	
გენადი არველაძე	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე	
აკაკი საღირაშვილი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე	
ეკატერინე მიქაბაძე	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე	
ირაკლი ნადარეიშვილი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე	
თამარ ბარკალაია	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე	
ნიკო გაგუა	ფინანსთა მინისტრის მოადგილე	
მიხეილ სარჯველაძე	იუსტიციის მინისტრის მოადგილე	
დავით ონოფრიშვილი	დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	

ნინო თანდილაშვილი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე	